

ქ.თბილისი

2017 წლის 28 დეკემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუარანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქვა, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ი. დოლიძის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის და თანამსაჯის, შ. თევზაძისა და ო. მოგელაშვილის მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 23 დეკემბერს, „დიდი 10“-ის მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და ბათუმის „ბათუმი“-ს შორის, მომხდარი ფაქტების შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. ბათუმის „ბათუმი“-ს მორაგბე ხვიჩა ბუჯიაშვილი - მოწინააღმდეგის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე ზვიად მასისურაძე - მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირება, არაეთიკური, არასპორტული საქციელი.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.1, 2.2.6 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ბათუმის „ბათუმი“-ს მორაგბე ხ. ბუჯიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. თბ „ლოკომოტივის“-ს მორაგბე ზ. მასისურაძე დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 28 იანვრამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ბათუმის „ბათუმი“-სა და კლუბ თბ „ლოკომოტივი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/